EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ინსტრუქცია

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 18 თებერვლის N2 დადგენილებით

განახლებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის N08 დადგენილებით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის დატვირთვის ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის კომპონენტებს, ოდენობასა და განსხვავებული დატვირთვის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს.

1.2 ინსტრუქციის დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის.

მუხლი 2. მიზანი

ინსტრუქციის მიზანია:

ა) უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის დაბალანსებული სამუშაო დატვირთვისა და სტაბილური, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა;

ბ) სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

გ) პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტრუქციის წყარო

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის, უნივერსიტეტის აფილირების წესისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალი

4.1 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (შემდგომში „პერსონალი“) შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.

4.2 პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

4.3 ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

4.4 ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

4.5 ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

4.6 აფილირებულია პერსონალი, რომელსაც უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება.

მუხლი 5. აკადემიური დატვირთვა

5.1 უნივერსიტეტში პერსონალის აკადემიური დატვირთვა მოიცავს ოთხ კომპონენტს:

5.1.1 სასწავლო საქმიანობა - მოიცავს სააუდიტორიო დატვირთვას, ლექციისა და ცოდნის შემოწმების კომპონენტების მომზადებას, სტუდენტის ნაშრომების გასწორებას ან ცოდნის სხვაგვარ შეფასებას, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ახალი სასწავლო პროგრამის, მოდულისა თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის შემუშავებას, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობას;

5.1.2 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს: პუბლიკაციების მომზადებას, თარგმნას, რედაქტირებას, რეცენზირებას, საგრანტო პროექტის მომზადებას, კვლევითი პროექტის განხორციელებას, კვლევაში მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართვას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ან საკონფერენციო სიტყვის მომზადებას. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება-გამოქვეყნებას;

5.1.3 საკონსულტაციო საათები;

5.1.4 საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა შეიძლება მოიცავდეს ჩართულობას: საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მართვის ორგანოებისა თუ კომისიების მუშაობაში, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციების განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა დაგეგმილ საქმიანობაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაში.

მუხლი 6. სავალდებულო მინიმალური აკადემიური დატვირთვა

6.1 უნივერსიტეტის პროფესორი ყოველი სასწავლო სემესტრის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სავალდებულო 4

საათიანი სასწავლო, 2 საათიანი საკონსულტაციო, 8 საათიანი სამეცნიერო-კვლევითი ყოველკვირეული დატვირთვა;

6.2 უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ყოველი სასწავლო სემესტრის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სავალდებულო 6 საათიანი სასწავლო, 2 საათიანი საკონსულტაციო, 6 საათიანი სამეცნიერო-კვლევითი ყოველკვირეული დატვირთვა;

6.3 უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ყოველი სასწავლო სემესტრის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ასისტენტ-პროფესორისათვის სავალდებულო 8 საათიანი სასწავლო, 3 საათიანი საკონსულტაციო, 4 საათიანი სამეცნიერო-კვლევითი ყოველკვირეული დატვირთვა.

6.4 უნივერსიტეტის ასისტენტი ყოველი სასწავლო სემესტრის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სავალდებულო 8 საათიანი სასწავლო, 2 საათიანი საკონსულტაციო აქტივობის ყოველკვირეული დატვირთვა.

6.5 პერსონალს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამების ან/და ფაკულტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, პერსონალთან წინასწარი შეთანხმებით, შესაძლებელია, განესაზღვროს ასიმეტრიულად ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

6.6 საგანმანათლებლო პროგრამების ან/და ფაკულტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პერსონალის სავალდებულო მინიმალური სასწავლო დატვირთვა დასაშვებია შეიცვალოს სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო ან სხვა დატვირთვით მხარეთა წინასწარი შეთანხმებით.

6.7 პერსონალისთვის სავალდებულო მინიმალური სასწავლო დატვირთვის შეთავაზების შეუძლებლობის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სავალდებულო სასწავლო დატვირთვის შესრულების ვალდებულებისგან იმ სემესტრში.

6.8 აკადემიური პერსონალის სასწავლო და საკონსულტაციო დატვირთვის თანაფარდობა შეადგენს არანაკლებ 1/3;

6.9 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სავალდებულო დატვირთვის შესრულების ვალდებულებისგან პერსონალი შეიძლება გათავისუფლდეს პირადი განცხადების საფუძველზე შემდეგ შემთხვევაში:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა;

ბ) აკადემიური შვებულება (ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ერთი სემესტრის განმავლობაში);

გ) სასწავლო ან სამეცნიერო მივლინება/შვებულება.

წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 20 დეკემბრის დადგენილება N08

მუხლი 7. დატვირთვის ზღვრული ოდენობა

7.1 წინამდებარე ინსტრუქციის მე-6 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო მინიმალური დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვის შემთხვევაში, პერსონალის აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

7.2 აფილირებული პერსონალის მაქსიმალური სასწავლო დატვირთვა უნივერსიტეტში განისაზღვრება სემესტრში არაუმეტეს 450 საათით (კვირაში 30 საათი);

7.3 პერსონალის, რომელიც უნივერსიტეტში ამავდროულად იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას სრული განაკვეთით, სასწავლო დატვირთვა უნივერსიტეტში განისაზღვრება სემესტრში არაუმეტეს 180 საათით (კვირაში 12 საათი). მათ სასწავლო დატვირთვისათვის კვირის განმავლობაში დადგენილი საათები ეთვლებათ საპატიოდ.

7.4 პერსონალის, რომელიც უნივერსიტეტში ამავდროულად იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას ნახევარი განაკვეთით, სასწავლო დატვირთვა უნივერსიტეტში განისაზღვრება სემესტრში არაუმეტეს 240 საათით (კვირაში 15 საათი);

7.5 სავალდებულო მინიმალური დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვა აკადემიურ პერსონალს შეიძლება განესაზღვროს მასთან წინასწარი შეთანხმებით, აკადემიური პროგრამის თავისებურებებიდან და ფაკულტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ან/და პერსონალის სურვილის/შესაძლებლობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ასეთ პერსონალთან ფორმდება შესაბამისი შრომითი შეთანხმება;

7.6 წინამდებარე მუხლით დადგენილი დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვა პერსონალს შეიძლება განესაზღვროს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საგანმანათლებო პროგრამის თავისებურებებისა და სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანმა დასაბუთებული წარდგინებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

7.7 სხვა უსდ-ში დატვირთვის შემთხვევაში აკადემიური პერსონალის ყველა უსდ-ში საერთო დატვირთვის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვირეული დატვირთვის ზღვრულ ოდენობას (40 საათი).

მუხლი 8. დატვირთვის სქემა

8.1 ყოველი სემესტრის დასაწყისში აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის შესახებ ინფორმაციას უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, განათლების დეპარტამენტთან შეთანხმებით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

8.2 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანების საფუძველზე ადგენს პერსონალის დატვირთვის სქემას (დანართი 1) და დატვირთვის შესახებ ინფორმაციას ასახავს პერსონალის მართვის ერთიან სისტემაში;

8.3 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი პერსონალის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დატვირთვის შესახებ ინფორმაციას

გამოითხოვს პერსონალისგან შესაბამისი ფორმის (დანართი 2) შევსების გზით. ამასთანავე, დეპარტამენტი ამ ინფორმაციას პერსონალის მართვის ერთიანი სისტემაში ამოწმებს. დეპარტამენტი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს პერსონალს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დატვირთვის შესახებ ცნობის წარმოდგენა.

8.4 უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი წინამდებარე ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში წარუდგენს ანგარიშს რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

მუხლი 9. რეაგირების მექანიზმები

9.1 უნივერსიტეტი წინამდებარე ინსტრუქციის დარღვევაზე რეაგირების მიზნით იყენებს პასუხისმგებლობის შემდეგ ზომებს:

9.1.1 გაფრთხილება;

9.1.2 სასწავლო დატვირთვის გაუქმება მომდევნო ერთი სემესტრის განმავლობაში;

9.1.3 აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება.

9.2 პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას გაითვალისწინება დარღვევის შინაარსი, მისი გამომწვევი გარემოებები და პერსონალთან თანამშრომლობის ისტორია.

9.3 პასუხისმგებლობის ზომა გამოყენებულ უნდა იქნეს თანმიმდევრობით. ერთი და იგივე პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება დასაშვებია ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ.

9.4 პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ანგარიშისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასკვნის საფუძველზე.

9.5 პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებამდე, აკადემიურ პერსონალს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე ინსტრუქცია წარმოადგენს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დანართს და მისი განუყოფელი ნაწილია.

10.2 წინამდებარე ინსტრუქციას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

10.3 წინამდებარე ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.

დანართი 1


EAST EUROPEAN UNIVERSITY
20__-20__წ._____ სემესტრი
ლექციები
სემინარი
სემინარი/ლაბ.
ჰონორარი
ადმინისტრაციული
ადმინისტრაციული
ადმინისტრაციული

დანართი 2

სახელი და გვარი	
აკადემიური თანამდებობა	
ფაკულტეტი	

გაცნობებთ, რომ _____ სასწავლო წლის შემოდგომის/ გაზაფხულის სემესტრში *(გთხოვთ, გაუსვათ ბაზი)* ჩემი სასწავლო დატვირთვა შეადგენს:

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სემესტრში _____ საათს.

2. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

ა) _____ სემესტრში _____ საათს;
(უსდ-ს დასახელება)

ბ)_____ სემესტრში _____ საათს;
(უსდ-ს დასახელება)

გ) _____ სემესტრში _____ საათს.
(უსდ-ს დასახელება)

წინამდებარე ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ, ფორმაში დაფიქსირებული ინფორმაციის სისწორეს.

ხელმოწერა:

თარიღი: